საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №93/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 22 მაისის №93 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაზე უთითებს. კერძოდ, აცხადებს რომ მოსამართლე 9 თვეზე მეტია არ წერს განჩინებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან არაერთხელ მიმართა სასამართლოს განჩინების გადაცემის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 25 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ თანხის დაკისრებისა და კუთვნილი მოძრავი ქონების დაბრუნების მოთხოვნით. 2015 წლის 12 ოქტომბერს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. სასამართლო პროცესები გაიმართა 29.03.2016; 12.10.2016; 8.11.2016; 14.12.2016; 17.02.2017; 10.03.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2.2. 2017 წლის 12 ივნისს მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში და გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვეს. სააპელაციო სასამართლოში სასამართლო პროცესები გაიმართა 26.10.2017; 17.11.2017; 30.11.2017 წწ პერიოდებში. სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.3. 2018 წლის 22 აპრილს -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. 2019 წლის 19 აპრილს და 2019 წლის 24 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების ჩაბარების თხოვნით.

2.4. მოსამართლე -- -- 2018 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა 509 საქმე, საიდანაც დაასრულა 256 საქმე (50.2%); 2019 წლის 22 მაისის მდგომარეობით განსახილველად გადაცემული ჰქონდა 418 საქმე, საიდანაც დაასრულა 118 საქმე (28.2%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 15 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 22 მაისის №93 საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის ვალდებულების დარღვევას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

მხარეთათვის გადასაცემად; ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადა საკასაციო სასამართლოსთვის შეადგენს 1 თვეს.

მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო 2018 წლის 30 ივლისს. მოწინააღმდეგე მხარემ (მოსარჩელემ) დასაბუთებული განჩინების ჩაბარების მოთხოვნით ბოლოს განცხადებით სასამართლოს მიმართა 2019 წლის 24 ივლისს, დასაბუთებული განჩინება მხარეს 10 თვის და 24 დღის შემდეგაც არ ჩაბარებია. საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებით მხარეს არ შეზღუდვია გასაჩივრების ფუნდამენტური უფლება.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლემ 2018 წელს მონაწილეობა მიიღო 822 სამოქალაქო სამართლის და 301 სისხლის სამართლის საქმის კოლეგიურ განხილვაში. შესაბამისად, მოსამართლის წარმოებაში არსებულ განსახილველ საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადა ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 8 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №93/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი